ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №22

2012 წლის 15 ოქტომბერი

ქ. ქარელი

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის და ,,ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულების, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. განისაზღვროს ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები (დანართი №1).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და სხვა საჯარო მოსამსახურეების თანამდებობის სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 16 იანვრის №2 დადგენილება.
3. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება 2012 წლის 12 ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ქარელის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — პაატა ღვინიაშვილი

დანართი №1

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

№	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
I	საკრებულოს თავმჯდომარე	2650
II	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1900
III	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1050
IV	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1050
V	საკრებულოს აპარატის უფროსი	1290
VI	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი – სპეციალისტი	560